ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

№ 259
ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

ვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12.	10 —	6	6 —
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8 —	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 259
ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: თავ. **აკაკი წერეთლის, კ. ყიფიანის, ს. მგალობლიშვილის** და სხვ. მონაწილეობით

ვ. მ. გამყრელიძის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესები

I

შვილის ცოდოსათვის

დრამატ. ეპიზ. 3 მოქ. სპარსელების მფლობ. დროიდან, ვ. გუნიასი.

II

არივ-დარია

კომედია-ხუმრობა 1 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, მდივანი, და სხ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მარიანაშვილი, იმედაშვილი, და სხვ.

III

დივერტისმენტი

აკაკი წერეთელი წაიკითხავს თავისს ახალს ლექსებს.
სოფრომ მგალობლიშვილი სცენებს გლეხების ცხოვრებიდან.
ნატ. გაბუნია-ცაგარლისა შეასრულებს ქართულ ხმებს.
კ. შათირიშვილი იმღერებს კომიკურ კუპლეტებს.
ვ. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს.

ლეკური და კინტოური.

ლ. ჩერქეზიშვილისა, ლ. ციმაკურიძის და აწყურელის მონაწილეობით.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულ ებრივია.

(3—უ.—3) რეჟისორი ვ. გუნია

წინამძღოლი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სთხოვს ბ-ნთ თავად-აზნაურთ მობრძანდნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ, რომელიც 8 დეკემბერს, დილის 10 საათზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზშია დანიშნული.

განსახილველად დანიშნულია:

1) არჩევანი თავად-აზნაურთა დეპუტაციისა, რომელმაც **მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას** უქვეშევრდომილესი და **მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს** უერთგულესი მადლობა უნდა მოახსენოს.

2) დამტკიცება უქვეშევრდომილესის ადრესისა **ხელმწიფის იმპერატორის** და უერთგულესის ადრესისა დიდის მთავრის **მიხეილ ნიკოლოზის ძის მიმართ.**

3) წესი კანდიდატთა წარდგენისა გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილთათვის კადეტთა კორპუსებში დაარსებულ ვაკანსიებზედ.

4) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად უმაღლესად ბოძებულ 40 ათასის მანეთის დანიშნულებისა და დახარჯვის შესახებ.

5) დამტკიცება პასუხებისა იმ დეპეშებზედ, რომლებიც საქართველოს იმპერიასთან შეერთების ასის წლის დღესასწაულობის დღეს მიიღო თავად-აზნაურობამ რუსეთის შიდა გუბერნიების თავათ-აზნაურობისა და კერძო კაცებისაგან.

6) მოხსენება ბ-ნის როზალიონ-სოშალსკის წერილისა იმის გამო, რომ თავად-აზნაურობის მიერ საქართველოს შეერთების დღესასწაულობის დროს გამართულს სადილსა და ვახშამზედ მიწვევა არ მისვლია.

7) მოხსენება იმ უხერხულობისა, რომელსაც ახალ სააქციზო წესების გამო ვენახების პატრონები ითმენენ ჭაჭის არაყის გამოხდის დროს.

8) შუამდგომლობის აღძვრა, რომ 1902 წ. დეკემბერში თავად-აზნაურთა მორიგი კრება იქმნეს მოწვეული. (3—ნ.—2).

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საქმეს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—11)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ქართული თეატრი.

შაბათს, 1-ლ დეკემბერს, გამართული იქნება ქართული

კონცერტი.

იმღერებს ბ-ნ ქორიძის ლოტბარობით გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ოც-და-ათი კაცისაგან შემდგარი, ხორო. ხორო აასრულებს ორ-სართულიანს ფერხულს. ფასი ადგილებისა დაკლებულია.

(3—უ—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 9 დეკემბერს დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა **საზოგადო კრება.**

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს 1901—1902 წლ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

მსურველთ ანგარიშის მიღება შეუძლიანთ 2 დეკემბრიდგან გამგეობის კანტორაში 11—1 საათამდე.

(3—უ—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ჯაგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ ახლად დანიშნულნი მაღალყოვლად უსამღვდელოესნი, საქართველოს ექსარხოსი ალექსი და ხარკოვის არქიეპისკოპოსი ფლაბიანე, ექსარხოსად ნამყოფი,—ხარკოვში შეხვდებიან ერთმანეთს.

⁂ დღეს, 29 ოქტომბერს, ქართულს თეატრში ბენეფისია მ. გამყრელიძისა. მობენეფისეს ამოურჩევია ახალი დრამა ვ. გუნიასი „შვილის ცოდოსათვის“. ამ პიესისა და ვოდევილს გარდა დივერტისმენტიც გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნნი აკაკი წერეთელი, სოფ. მგალობლიშვილი და სხვანი.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ კავკასიის სამადნო მმართველობის უფროსი ინჟენერი შოსტაკი ს. გლდანს გაემგზავრა, რათა შეემოწმებინა—მართალი იყო, თუ არა, იქაურს მიდამოებში ოქროს მადნის არსებობაზე გავრცელებული ხმა.

ეხლა როგორც გაზეთი „კასპი“ გადმოგვცემს, ინჟენერს მ. ა. შოსტაკს შეუდგენია ამხანაგობა გლდნის მიდამოების ოქროს მადნების დასამუშავებლად. ამხანაგობაში მონაწილეობა მიუღია მდიდარს ნავთის მწარმოებელს მანთაშოვს. მუშაობას თურმე სულ ცოტა ხანში დაიწყებენ.

⁂ დეკ. მამა ყონჩუაშვილს წინადადება შეუტანია ეპარქიალურ სკოლების საბჭოში, რომ საღმრთო სჯულის სწავლება სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მოსწავლეთა დედა-ენაზე სწარმოებდეს. საბჭოს დაუდგენია — უწმიდესს სინოდს წარუდგინოს გადასაწყვეტად მამა ყონჩუაშვილის წინადადება.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის „მიმოსვლათა ნაწილის“ უფროსს ბრძანება გამოუცია, რომლითაც სასტიკად ჰკრძალავს მოგზაურთა ვაგონებით ფრინველისა ღ საზოგადოდ სანოვაგის წაღებას მგზავრებისაგან. კონდუქტორებს ევალებათ, რომ თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას, რადგანაც ფრინველებისა და სანოვაგის შეტანა ვაგონებში ხშირად სიბინძურეს იწვევს და ცუდს სუნსაც აყენებს.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში რამდენსამე მატარებელს ბაქოდგან 40—50 ვერსის გავლისათვის ოცი საათი დრო მოუნდომებიათ. მატარებელზე მოსამსახურეებს გამოუცხადებიათ, ერთობ დავიღალეთ და ამ ადგილს იქით მატარებელს ველარ გამოვყვებითო. მატარებლები ჩამქრალ ორთქლ-

მავლებით სადგურებზე დაუტოვებიათ და კაცები-კი ბაქოში დაბრუნებულან. ამ უცნაურ შემთხვევის ყოველ მხრივ გამოსარკვევად ტფილისიდგან გაუგზავნია რკინის გზის გამგეობას საგანგებო კომისია.

⁂ სამრეწველო და სავაჭრო კრიზისი მარტო ბაქოს ნავთის მწარმოებლებს არ უხუთავს სულს. ტფილისსაც ნაკლები დღე არ ადგია. ამ აზრის დასასურათებლად „Новое Обозр.“-ს მოჰყავს შემდეგი შემთხვევა. ერთს სოვდაგარს ქ. კ., დიდი ალებ მიცემობისა და ქალაქში ბევრის შენობების პატრონს, ამ ცოტა ხანში მაღაზია ცოლის სახელზე გადაუტანია და თვითონ სადღაც გამქრალა. მისს მევალეებს კი დანა პირს არ უხსნით, მაგრამ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე-ღა თითზე კბენანი“...

⁂ „პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოებას“ განუზრახავს მომავალს დეკემბერში მენდლები და ქვის ფურცლები დაურიგოს ჯილდოებად კავკასიის სხვა და სხვა ქალაქების პოლიციაში იმ მოსამსახურეებს, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საზოგადოების წინაშე, ესე იგი, მიუჩვევიათ ხალხი, რომ პირუტყვებს უფრო ლმობიერად ეპყრობოდნენ.

⁂ ტფილისის გუბერნიის ზოგიერთს მაზრებში თავი იჩინა გადამდებ სენებმა. ბორჩალოს მაზრაში ს. ეკატერინენფელდში, მაგ., ამ ჟამად მძვინვარებს ხუნაგი, ხოლო სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხაანში—ქუნთრუშა.

⁂ კავკასიის სასოფლო მეურნეობის აწ უკვე დახურულის გამოფენის კომისარიატის ანგარიშით გამოფენისავე გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის დახარჯულა ექვსასი თუმანი.

⁂ „Тифлис. Листокъ“-ი გადმოგვცემს, ვითომც მთავრობას განეზრახოს მომრიგებელ შუამავალთათვის ჯამაგირების მომატება.

დღემდის კი ისე გვესმოდა, რომ მომრიგებელ შუამავალთა თანამდებობანი სულაც უნდა მოესპოთ.

⁂ გუშინ, 28 ნოემბერს, დაავიცეს ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორისაგან დამტკიცებული ბ-ნი ენფენჯიანცი და გუშინდლიდგანვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

⁂ ამ დღეებში ქალაქის გამგეობას ექნება განსაკუთრებული სხდომა, რომელზედაც უნდა მოილაპარაკონ იმის შესახებ, გამგეობის ოთხი განყოფილება წევრებს შორის როგორ იქნას განაწილებული. როგორც შევიტყვეთ, გამგეობის მეოთხე განყოფილების ხელმძღვანელობა ჩაჰბარდება თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, ხოლო საამშენებლო განყოფილებისა — ახალს წევრს ენფენჯიანცს.

⁂ კავკასიის გრენადერთა რაზმის უფროსმა სთხოვა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას მოკირწყლულ იქმნას ფეიერვერკის ქუჩა, რადგანაც იქ ისეთი ტალახი დგება, რომ ყოვლად შეუძლებელია ხალხისა და ეტლების მიმოსვლა.

⁂ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას დღეს, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექნება ქალაქის გამგეობის დარბაზში. კომისიას განსახილველი აქვს შუამდგომლობა ტფილისის საურთიერთო დამხმარებელ ქალთა საზოგადოებისა იმის შესახებ, რომ შემწეობა აღმოეჩინოს მას საზოგადო განათლების მუზეუმის დაარსების საქმეში; ქალაქის სასწავლებლებში ადგილობრივ ენების სწავლების განაწილების საქმე და სხვანი.

⁂ ქალაქის საბჭოს მიერ მოწონებული ნიხრი ღორის ხორცისა ქალაქის გამგეობამ გუშინ დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს.

⁂ ავჭალის სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა სადგომში ქართულ სცენის მოყვარეთ შემდეგი წარმოდგენა ექნებათ 5 დეკემბერს. წარმოსადგენად დანიშნულია მელოდრამა „პარიჟის ღარიბ-ლატაკნი“.

⁂ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ ქურდობის განზრახვის ჩადენისათვის ტფილისის მაზრის მცხოვრებს რაჟდენ ილარიონის ძე მამაცაშვილს გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

⁂ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრების კონსტანტინე ცოტნიაშვილისა, რომელსაც კაცის-მოკვლის განზრახვის ჩადენა ჰბრალდებოდა. ამ წლის 28 ივნისს, ღამე, ცოტნიაშვილს უთხოვნია თავის ამხანაგის ალექსანდრე კანდინოვისათვის ერთი მანეთი სესხად; რადგანაც ამ უკანასკნელს არა ჰქონია ფული, წაუყვანია ცოტნიაშვილი გაულეიძნია მედუქნე ალექსი ზაქარიას ძე ჩინჩალაძე და უთხოვნია მისთვის ჯერ 1 მ. და მერე 50 კ. მაგრამ მას ორივეზე უარი უთქვამს. ამაზე გული მოსვლია ცოტნიაშვილს და როგორც კანდინოვმა სასამართლოში აჩვენა, ამოუღია ჯიბის დანა და სამგან დაუჭრია ჩინჩალაძე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ცოტნიაშვილი და გარდაუწყვეტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1½ წლით გაგზავნა.

დამაკვირდი

—

მხოლოდ იგი სცხოვრობს, ვინც არა მარტო თავისის თავისათვის სცხოვრობს.

მენანდერი.

—

მე ჯერ არ მინახავს იმისთანა ლბილი ქვეშაგები, რომელზედაც ტკბილად სძინებოდეს ავაზაკს-კაცსა.

ჰერდერი.

—

ყოველთვის ბატონი იყავ შენის ნებისა და მონა შენის სინიდისისა.

ეშენბახი.

ახლად აღმოჩენილი ბაცილა სიფილისისა (ათაშანგის).

—

ჭლექის გარდა არ არის არც ერთი სენი, რომელიც ისე მოდებული იყოს დედა-მიწაზედ, როგორც სიფილისი. ამ სენის მომწამლავი ძალა ფრიად ძლიერი და შხამიანია: მართალია, იგი ადამიანს უცბად არა ჰკლავს, მაგრამ სამაგიეროდ სტანჯავს მთელის წლობით და აუძლურებს. ამ სენისავე თვისებას შეადგენს მემკვიდრეობით გადასვლა დედ-მამიდგან შთამომავლობაზედ. ამ გვარად სენი ხდება მიზეზი მთელის შთამომავლობის გადაგვარებისა. თუ რამდენად გავრცელებულია დღეს ეს სენი, სხვათა შორის, იქიდგანა სჩანს, რომ რუსეთში არის მრავალი სოფელი და მთელი მაზრები, სადაც სიფილისით ავადმყოფთა რიცხვი თითქმის ჯანმრთელთა რიცხვს უდრის.

1882 წელს, როგორც პროფესორ მანსუროვის თხზულებიდგანა სჩანს, პეტერბურგისა და მოსკოვის გუბერნიებში მცხოვრებთა შორის ნახევარი მილიონი სიფილისით შეპყრობილი თურმე აღმოჩნდა. ამავე პროფესორის სიტყვით, რუსეთში ყოველ-წლივ ერთი მილიონი ახლად-დაბადებული ბავშვი იხოცება დედ-მამისგან მემკვიდრეობით გადაცემულის სიფილისით.

სიფილისით ავადმყოფობა ისრევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. თვით წინასწარმეტყველ მოსეს დროს თურმე მძვინვარებდა ებრაელთა შორის სენ[illegible] მაშინდელის აღწერით [illegible] სიფილისი უნდა ყოფილიყოს. მოსეს კანონის ძალით, ვინც ამ სე ნით ხდებოდა ავად, სიკვდილით უნდა დასჯილიყო; მრავალ-ტანჯული იობიც, რომელსაც მთელ ტანი დაუწყლულდა და ტკივილებს გრძნობდა ძვლებში, მეცნიერთა აზრით, სიფილისით უნდა ყოფილიყოს შეპყრობილი.

პლუტარხისა, იუვენალისა და მარციალის სიტყვებიდგანა სჩანს, რომ მათ დროსაც თურმე მძვინვარებდა სიფილისი. ინდოელთა უძველეს ლიტერატურაშიაც არის ნახსენები სიფილისი.

1495 წ. საფრანგეთის მეფე კარლოსი იტალიაში წავიდა საომრად ნეაპოლის ასაღებადა და თან აუარებელი ჯარი წაიყვანა; ცოტა ხნის შემდეგ მთელს ჯარს რაღაც უცნარი სენი მოედო, ასე რომ მეფე კარლოსი იძულებული შეიქნა უკანვე დაბრუნებულიყო თავისის ჯარით. დაბრუნდნენ შინ მეომარნი და გადასდეს თითქმის მთელს დასავლეთ ევროპას იტალიიდგან გამოტანილი ავადმყოფობა: არ გადარჩენილა არც დიდი და არც პატარა, არც უბრალო და არც წარჩინებული, რომ ავად არ გამხდარიყვნენ; თვით ბერები და მღვდლებიც კი დახდნენ ავად ამ სენით.

როდესაც გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ეს სენი სიფილისი იყო, აი, ამ დროიდგან იწყება სიფილისის მეცნიერული შესწავლა. ძველ დროში ფიქრობდნენ, რომ სიფილისი უსუფთაობიდგან წარმოსდგებოდა და უფრო ის ხდებოდა ავად, ვისაც მეტი ცოდვები ჰქონდა. სიფილისი, მათის აზრით, პურიდგან ვრცელდებოდა. მე-XV საუკუნეში სიფილისს პირველად დაერქვა სახელად „morvus benereus“, ესე იგ „ვენერიული ავადმყოფობა“. შე

ფელეტონი

—

საკუთარი რამე-რუმე.

(წერილი გურიიდგან).

ქესატობა, მოსავლის სიმცირე, განუწყვეტელი ავდრები, სიმინდის ქია და იმავე დროს ქორწილი, ქორწილი და არა ქორწინება! აი, ჩვენებური ამბები, წლევანდელის მეტის-მეტად მჭლე და უბარაქო შემოდგომის ბოლო!

ქორწილი და არა ქორწინება! ეს სიტყვები, ვიცი, გურულ მკითხველთა გარდა, ყველას ეუცხოვება, ყველას ეხამუშება გასაგონად. მაშ, განვმარტოთ და გავარკვიოთ ამ სახამუშო სიტყვათა ადგილობრივი მნიშვნელობა.

ქორწინება—ჯვრის წერაა, ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი, ხოლო ქორწილი კი—ეს ალარავისთვის საიდუმლო აღარ არის ჩვენში მაინც—ქორწინების გამო გარდახდილი ნადიმია, რომელშიაც მონადიმემ იმდენი უნდა გარდაიხადოს, რომ ხარჯიც დაჰფაროს და თან მასპინძლის „ოჯახიც გაამხიარულოს“, ე. ი. მასპინძელსაც მოსაგები უჩვენოს.

წელს ქორწინება იშვიათია, ქორწილი კი ხშირი. შარშან და შარშანწინდელ ქორწინების გამო ქორწილის გარდახდა დაღოცვილებს წელს მოჰგონებიათ და გეპატიჟებიან: „მობრძანდით, ჩვენის ოჯახის მხიარულება გაინაწილეთო“.

კარგი და პატიოსანი! მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, თქვენს ოჯახში ნაყიდი მხიარულება ჩემს საკუთარს ოჯახში რომ დარდსა და მწუხარებას, შფოთსა და ალიაქოთს გამოიწვევს, ეს ვინღამ გაინაწილოს?

ამას გარდა, შარშან თუ შარშანწინ ქალიშვილი გაგითხოვებია, ქმრის ოჯახში დაგიბინავებია, შვილიც მისცემია იქ და წელს, ამ ქესატობისა და უმოსავლობის დროს, ქორწილში მეპატიჟები—ეგ სადაური ნამუსია, სადაური ეხტიბარია? სხვა გარდასახადთა „ნედოიმკები“ არ ეყოფოდა ჩვენს ქვეყანას, რომ ეგ შენის ოჯახის გამხიარულების „ნედოიმკაც“ არ მიგემატებინა?

მართალია, ქორწილი ახალი ამბავი არ არას ჩვენში, ის ძველადაც იცოდნენ, მაგრამ სხვა სახით და სხვანაირად. ქორწინების შემდეგ მაშინვე ქორწილი გაჩაღდებოდა. ქორწილში მხოლოდ დახლოვებულს ნათესავებს და გულითად მეგობრებს დაუძახებდნენ. ახლა-კი, თუ კი სახელი და გვარი იციან შენი, ან სხვისგან გაუგონიათ, ქორწილში გეპატიჟებიან, „მიბრძანდით, ჩემის ოჯახის მხიარულება გაინაწილეთო“.

მერე რაო,—იტყვის მკითხველი,—მინდა წავალ და მინდა არ წავალო. სხვაგან შეიძლება ასეც იყოს, ხოლო ჩვენში, სამწუხაროდ, სხვა რიგადაა საქმე. ვაი წასვლას და ვუი წაუსვლელობას!

დასაპატიჟებელ ბარათის კონვერტზე შენ სახელ-გვართან უეჭველად მიწერილი იქნება „თავის მეუღლითო“, ხოლო თუ ისე ბედნიერი ხარ, რომ მეუღლე არა გყავს, ისე უბედური მაინც როგორ იქნები, ან დედა, ან და, ან რძალი, ან დედათა სქესის ერთ-ერთი წარმომადგენელი არა გყავდეს ოჯახში. ასეთ შემთხვევაში კონვერტზე წარწერას ყოველთვის შესაფერი კუდი ექნება გამობმული. მოდი და ამის შემდეგ, თუ კარგი ვაჟკაცი ხარ, დამაგრდი სახლში, ებრძოლე ევის შთამომავალს. ქორწილში და ლხინში კი არა, ისეთი დღე დაგადგება, ჯოჯოხეთში, ნავთში და კუპრში წასვლაზე დასთანხმდები.

მუშაობიდგან თუ მგზავრობიდგან დაბრუნებისას, როცა ცოლი მხიარულად შემოგღიმებს, ეს იმის მომასწავებელია, რომ „ქორწილის წიგნი“ მოგსვლიათ და თქვენი დარბაისელი თანამეცხედრე ეხლავე შესდგომია მხიარულებას, რადგანაც კონვერტზე უკვე უპოვია და ამოუკითხავს სანატრელი სიტყვები „თავის მეუღლითო“.

ჰკითხულობთ წერილს, რომელიც ჩვეულებრივ ასე თავდება ხოლმე: „დავშთები თქვენგან საუკუნოდ დავალებული ლაზარე ხინკალაძე“. ჰხსოვნას იკრებთ, მოსაზრებას იშველიებთ, მაგრამ ვერ გაგიხსენებიათ, ვერ მოგიაზრებიათ, თუ ვინ არის ეგ ლაზარე ხინკალაძე, რომლის ოჯახის მხიარულება ასე ჯადოსნურად გადმოსულა თქვენს ოჯახზე.

— ვინ არის, ადამიანო, ეგ ლაზარე ხინკალაძე, რომ ვერ მომიგონებია?—ეკითხებით ცოლს.

— რაფერი გულ-მავიწყი ხარ, კაცო! სწორეთ გასაკვირია შენი ამბავი! ლაზარე ხინკალაძე რავა არ იცი, ელიობას მარინობაში *) რომ ვნახეთ, ნოხ-ფარდაგს ყიდულობდა. შარშან ქალიშვილი გაათხოვე, წრეულს მგზითვი უნდა მივცე და ჩემი ნტერ-მოყვარე ყველა უნდა დავპატიჟოვო.

— კი, მაგრამ რა მოყვარეა ჩვენი?

— რავა ჩივი, კაცო, რავა რა მოყვარეა? ერთი ჩემი, მკვიდრი ბიძათაშვილი იმის კარის მეზობელს ჰყავს მითხოვილი. დიდი ქორწილ აქ თურმე. ცაი და ქვეყანა დღუპ ჯებია. წუუსლელობა რავა გვარ გია, სოლ გავაჭყიროთ თვალი?

შეიძლება ასეთის შემთხვევი გამოუცდელი ბრძანებებით და წას ვლაზე უარის თქმა გაჰბედეთ. არ გირჩევთ, რადგანაც ასეთს გაბედვა ცუდი შედეგი მოჰყვება. არ და ჯერებთ? მაშ შეიტყვეთ და დას ტკბით. დაუგველი სახლი, დაურე ცხელი ჯამ-ქურჭელი, გაუშლელ ლოგინი, უმარილო და ხშირა უხარშავი შეჭამადი, უმცხვარი მჭა დი და ცოლის მუდმივი ბუზღუნ შემდეგის სანეტარძილო შინაარ სისა: „მე ვუბედური, მე ვუბედუ ვარსკვლავზე გაჩენილი! ამისთან გათხოვას გაუთხოვარობა არ ჯობ და, ამისთანა ქმარს უქმრობა არ მერჩია! ტირილში ვერ წავალ, ქორწილში ვერ წავალ... მტერთა ვერ მივალ, მოყვარესთან ვერ მი ვალ... ქვეყანაში თვალს ვერ გა ვაჭყერ. ამისთანაი რა სიცოცხლე რა სიკვტილი?.. ფოტინე, მაკრინე, სოფიო, მარინე, ასინე, კასინე, მატრონე, ქრისტინე, ივლიტე დესპინე, იგინი, აგინი, დიდი დ პაწაია, კაი და ავი—ყველაი აპირებ ქორწილში წასვლას და მე ბედ გაწყვეტილი შინ უნდა ვეგდო შინ უნდა დევირჩვა... ამი სთანაი რა სიცოცხლე, რ

---

*) მარინობა, ანუ ნაგომრობა განთქმული ბაზრობაა გურიაში. ელიობა დღეს, 20 ივლისს, ამ ბაზრობაზე დიდ-ძალი ხალხი იკრიბება.

დეგ გამოირკვა, რომ ამ სენით ადამიანი მხოლოდ გადადებითა ხდება ავად და თითქმის ყოველთვის სქესებრივ ვნებათა დაკმაყოფილების დროს. სიფილისის შხამი მხოლოდ მაშინ სწამლავს ადამიანს, როდესაც სხეულის კანის იმ ადგილს მოჰხვდება, სადაც იარაა. პირველად ჯერ ეს ადგილი იწამლება და შემდეგ-კი აქედგან საწამლავი მთელს სხეულს უვლის. ეს სენი საშინელი, სხვათა შორის, იმითია, რომ ავადმყოფი არას დროს დარწმუნებული არ არის და ვერც ექიმისაგან მიიღებს ნამდვილს პასუხს, განიკურნება თუ არა. შეიძლება დღეს არც ერთი ნიშანი არა ჰქონდეს, მაგრამ გაივლის რამდენიმე თვე, წელიწადი—ორი-სამი და ხან ოციც-კი და მოულოდნელად სიფილისის შხამი კვალად თავს იჩენს. არ არის არც ერთი ორგანო, რომ სიფილისის საწამლავმა არა სძლიოს. ძლიერ ხშირად სწამლავს აგრეთვე ტვინსაცა და აი, აქედგან წარმოსდგება ხშირად სხვა-და-სხვა გვარი სულით-ავადმყოფობა. ამავე საწამლავის გავლენით ძარღვები ჰკარგვენ სირბილეს და სუსტდება გულის მუშაობა, რის გამოც ხშირია წვეთის დაცემა.

მეცნიერმა Ricord-მა ის აზრი წარმოსთქვა, ვითომ სიფილისი თავდაპირველად ადამიანს რომელისამე პირუტყვიდგან უნდა გადასდებოდეს. ეს ის დრო უნდა ყოფილიყოს, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სულიერად განუვითარებელი იყო და პირუტყვებთან სქესებრივი დამოკიდებულება ჰქონდა. დღეს არც ერთს პირუტყვს არა აქვს ისეთი სენი, რომელიც წააგავდეს სიფილისს; ამიტომაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთ პირუტყვის რომელმამე სენმა ადამიანის სხეულში გადასვლით თან-და-თან იცვალა თავისი მომწამლავი ძალა და ბოლოს მიიღო ეხლანდელ სიფილისის სახე.

სამასი წელიწადია, რაც მეცნიერნი სცდილობენ სიფილისის შხამის გაგებასა და გამოკვლევას. მას შემდეგ, რაც პასტერმა და კოხმა ბაქტერიოლოგია გაამდიდრეს და აღმოაჩინეს სხვა და სხვა გვარი ბაცილები, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე სიფილისის ბაცილის აღმოჩენასაც.

ამ ათ-თხუთმეტის წლის წინად ვითომ კიდევაც გამოიკვლიეს სიფილისის ბაცილა, მაგრამ სხვა მეცნიერთა შემდეგმა გამოკვლევამ უარჰყო სინამდვილე ამ აღმოჩენისა.

ამ დღეებში სამედიცინო ჟურნალებმა მოგვიტანეს ფრიად საყურადღებო ამბავი: ორ მეცნიერს Lisle და Jallieù-ს გამოუკვლევიათ სიფილისით ავადმყოფების სისხლი და აღმოუჩენიათ ბაცილა, რომელიც მოყვანილობით პაწაწკინა ჩხირს წააგავს მორგვალო ბოლოებით.*) ეს ბაცილები ზემოხსენებულმა მეცნიერებმა ხელოვნურად მოაშენეს და მცირე დაკვირვების შემდეგ ჰნახეს, რომ ათის დღის შემდეგ ჩხირის მსგავსი ბაცილა გარდიქცა რგვალ სხეულათ. მეცნიერთა აზრით, ამნაირად ამ რგვალს სხეულებში უნდა იყოს სიფილისის უძლიერესი მომწამლავი ძალა. როდესაც განგებ მოშენებულს ბაცილებს მასაზრდოებელი ნივთიერება განუახლეს, რგვალი სხეული ხელ-ახლად ჩხირის მსგავს ბაცილათ გარდაიქცა. იმ ადგილს, სადაც ზღვის გოჭებს კანს ქვეშ შეუშხაპუნეს ამ მოშენებულ ბაცილებიდგან ამოღებული შხამი, კანი დასივდა, გამაგრდა და ყველა ახლომახლო ჯირკვლები დაუსივდა; რამდენისამე საათის შემდეგ ზღვის გოჭები კიდეც დაიხოცნენ. სცადეს აგრეთვე ბაყაყებზედაც, რომლებიც 36 საათის შემდეგ დაიხოცნენ.

ზემოდ დასახელებულ მეცნიერთა გამოკვლევიდგან აღმოჩნდა, რომ ბაცილები ყველა სიფილისით შეპყრობილ ადამიანის სხეულში არიან უთუოდ, ხოლო როდესაც საცდელად ცხოველს შეუშხაპუნებენ, იგი გამოიწვევს ავადმყოფობას ისეთს ნიშნებს, რომლებიც სიფილისს ახასიათებენ. ბაცილა ჰკარგავს სიცოცხლის ნიშნებს მაშინვე, მოკვდება თუ არა ცხოველი, რომელიც მოწამლული იყო მისის შხამით. თვითონ ადამიანს, რომელიც ავად არის სიფილისით, ბაცილა ვერას აკლებს.

მკითხველისათვის, ეჭვი არ არის, ცხადია, თუ რა დიდი შედეგი მოჰყვება ამ ბაცილის აღმოჩენას.

ექიმი ბადრიძე.

---

*) Lustgarten-ის მიერ აღმოჩენილი ჩხირებიც ხომ ამ სახითვე არიან აწერილნი. რედ.

უცხოეთი

გერმანია. რაც დრო და ხანი გადის, გერმანიის მუშები უფრო გაჭირვებაში ვარდებიან. დღეს გერმანიაში უსაქმოდ 500,000 მუშა თურმე დარჩენილი. ამ გარემოებამ და აგრეთვე პურზედ ბაჟის გადიდების პროექტმა ერთი ორად გააძლიერა აგიტაცია ახალ სადამოჟნო ტარიფის წინააღმდეგ. 21 ნოემბერს სოციალ-დემოკრატებმა წარუდგინეს რეიხსტაგს პეტიცია პურზედ ფასის გადიდების წინააღმდეგ. პეტიციაზედ 3,430,000 კაცს უწერია ხელი. საიმპერიო კანცლერის სიტყვამ, სადამოჟნო ტრიფერს პროექტის განხილვის დაწყებისას წარმოთქმულმა, არავინ დააკმაყოფილა. რეიხსტაგი ხალხით იყო თურმე სავსე. ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრეებზედ დეპუტატ-აგრარიების სიტყვებმაც. ვრცლად და ყოველის მხრივ შეეხო საგანს თავისუფალი მოაზრე ევგენი რიხტერი, რომელიც წინააღმდეგია საგრარო პროექტისა. სხვათა შორის რიხტერმა ბრალი დასდო საიმპერიო კანცლერს, რომ ამ პროექტით იგი სოციალ-დემოკრატთა საქმეს ხელს უწყობსო. რიხტერმა, აღნიშნა რა სოციალ-დემოკრატთა რიცხვის გამრავლება პარლამენტში, სთქვა: „სოციალ-დემოკრატიამ რომ მთელი თავისი ქონება იმას მისცეს, ვინც ყველაზედ მეტად მას ემსახურება, ეს ჯილდო უეჭველად გრაფ ბიულოვს ჰხვდებოდაო.“ შემდეგ რიხტერმა სთქვა, ახალი პროექტი გერმანიის საგარეო პოლიტიკასაც ავნებს, ვინაიდგან გერმანია სამთა კავშირითაა ძლიერი, ხოლო პროექტი საზარალოა მოკავშირეთათვისაო.

ინგლისი. „Post“-ს გააგიდგან ატყობინებენ: აქ მყოფი ბურები მოელიან, რომ ახლო მომავალში დაიწყება ზავის შესახებ მოლაპარაკება ინგლისსა და ტრანსვაალს შორისაო. კრიუგერს განუცხადებია, მზადა ვარ ზავის დადებისათვის ლონდონის 1881 წლის ხელშეკრულების თანახმადაო. ამ ხელშეკრულების ძალით, ბურების რესპუბლიკებს სრული დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული შინაურს საქმეებში. მხოლოდ საგარეო საქმეებში შეუძლიან ინგლისს კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკებს. იმავე გაზეთის სიტყვით, ლონდონში ხმა დადის თურმე, რომ კიტჩენერმა და ბოტამ ერთმანეთ შორის დროებით ზავი დასდეს, რომელიც სრულის ზავის ჩამოგდების მომასწავებელიაო.

შვეიცარია. 19 ნოემბერს [illegible]წყო შვეიცარიის საკავშირო კრების სესსია. ზოგიერთ კანტონებს (ბერნი, სოლოტურნი) წინადადება შეუტანიათ კრებაში იმის შესახებ, რომ შვეიცარიის მთავრობამ იკისროს ინიციატივა ბურების სასარგებლოდ უცხო-სახელმწიფოთა ჩარევის საქმისა. ამ წინადადების შესახებ კრებას მალე თურმე ექმნება ლაპარაკი.

ჩინეთი. მკითხველებმა უკვე უწყიან, ჩინეთის მთავრობა როგორა ჰმალავდა ხალხის თვალში თავის დამარცხებასა და ევროპიელთაგან აწიოკებას. მთავრობა ამისათვის ათას რამეს იგონებდა და იგონებს დღესაც. ევროპიელთა მიერ ტიანძინის და პეკინის აღების შესახებ, მაგალითად, აცხადებს, რომ ეს ქალაქები მართლაც იყო „თეთრ ბარბაროსების“ ხელში, მაგრამ განვდევნეთ და განვათავისუფლეთო. ჩინეთმა პირობა დაუდო სახელმწიფოებს, ორის წლის განმავლობაში უმაღლეს ეგზამენებს აღარ მოვახდენო. ამის შესახებ მთავრობამ გამოუცხადა ხალხს, რომ შენობა, სადაც ეგზამენებია ხოლმე, სრულიად დაანგრიეს ბარბაროსებმა და ორის წლით ეგზამენები შეჩერებული იქნებაო. ყველაზედ სასაცილო განმარტებაა იმპერატორისა და იმპერატრიცის პეკინიდგან გაქცევის შესახებ. მთავრობამ აუწყა მთელ ჩინეთს, რომ მათი უდიდებულესობანი იმპერიის დასათვალიერებლად გაემგზავრნენო.

— როგორც „Times“-ი გადმოგვცემს, ჩინეთს იაპონიის გავლენით სრულიად მიუსპია რუსეთთან მოლაპარაკება მანჯურიის შესახებ. იაპონია განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგია თურმე იმ მუხლისა, რომლის ძალითაც ჩინეთს ეკრძალება მანჯურიაში არტილერიის ხმარება. დიდ უკმაყოფილე-

---

სიკვტილი! ნეტა მაინც კოჭლი ვიყო, ბრუტიანი ვიყო, ქაჩალი მჭირდეს, წელკავი მჭირდეს... სხვაზე ნაკლებად გარება ვიცოდე, გამორება ვიცოდე... სხვაზე ნაკლებად სიტყვას ვიტყოდე, პასუხს ვიტყოდე... რაიზა არ ვარ მე ქორწილში გამოჩენის ღირსი... ამისთანაი რა სიცოცხლე, რა სიკვტილი!..

არ დაივიწყოთ, რომ ზემოდ ჩამოთვლილ ასინე-კასინეთა ლეგიონიც თავიანთ ქმრებს სწორედ ასეთ ძილის-პირებს უგალობებს და დანიშნულ დღეს, რაღა საკვირველია, ლაზარე ხინკალაძის ქორწილი ნაირ-ნაირის ქალ-კაცით ივსება. შუა-დღეზე დაპირებულის სადილის „მანიფესტი“ ბინდისის ძლივს გამოვა. ხშირად თითო კერძის საჭმელის ჩამორიგებას ვერც-კი მოასწრებენ, რომ დამდება კიდეც და მასპინძლის გასამხიარულებლად მოწვეული ხალხი სახლში წასასვლელ-წამოსასვლელად აიშლება. ქორწილსაც, რა თქმა უნდა, ბოლო ელება და თქვენი ჭირი და სატკივარი მიაქვს.

ვინ იცის, მასპინძელი შეიძლება მართლაც გამხიარულებული რჩებოდეს ასეთის ქორწილის შემდეგ. ხოლო სტუმრებისა რა მოგახსენოთ...

სტუმრები, ცელქი შეგირდისა არ იყვეს, „ბეზაბედად“ რჩებიან, იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ ამ სასჯელთან ერთად მასპინძლის გასამხიარულებლად ჯარიმასაც იხდიან.

სად არის სათავე და დასაბამი ქორწილის ასეთნაირად გაბათილებისა, ნადიმის გათაღლითებისა და გაყალბებისა? რასაკვირველია, ქალიშვილის გათხოვის სიძნელე-სიძვირეში.

უდიდ ქრთამოდ დ უდიდ მზითოდ ცოლს, ამ ახლანდელ დროის მძიმესა და აუტანელს ბარგს არავინ იკიდებს ზურგზედ, ისე, როგორადაც ზოგიერთ გაზეთს „უპრემიოდ“ აღარავინ იწერს ხოლმე.

ცოლი ამ დროში სარჩენ, შეხანახ და აზიზად მოსავლელ არსებად გადაიქცა ქმრისა და ოჯახისათვის. წინად, როგორც მოგეხსენებათ, ეწოდებოდა მეუღლე და ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმებოდა გამრჯელი, მშრომელი და ერთგული ამხანაგი ქმრისა და წევრი ოჯახისა.

დღევანდელი ცოლი „სარჩენად“ გაუხდა ოჯახს, წინანდელი მეუღლე-კი „მრჩენალი“ იყო ოჯახისა. განსხვავება დიდია და ამ განსხვავებამ ახლანდელი ქორწილიც განასხვავა.

საკვირველია და თან სამწუხარო, რომ ადამიანი დღე მუდამ და ჟამმუდამ ტრაბახობით თავს გაბეზრებდეს „კოჭლი არა ვარ და ბრუტიანი, ქაჩალი არა მჭირს და წელკავი, სიტყვა ვიცი და პასუხი, გარება შემიძლიან და გამორებაო“ და იმავე დროს იგივე, თუ მისს სიტყვებს დავუჯერებთ, ფიზიკურად მაინც სრული და უნაკლულო ადამიანი, „სარჩენი“ იყოს დიაღ, საკვირველიცაა და სამწუხაროც, მაგრამ რა გაეწყობა?

ამბობენ, მრეწველობის აღორძინებამ, ქარხნების გამრავლებამ და აღებ-მიცემობის გავრცელებამ ქალებს ხელიდამ საქმე გამოაცალაო. მართალიცაა, თუმცა არც ისე სავსებით, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. დღეს რომ ქალმა ძველებურად დგიმ-სავარცხელს მიუჯდეს, ხამისა და შალის ქსოვა დაიწყოს, მაგდენად არაფერი ხეირი იქნება, მაგრამ გარეშე ამისა ცოტა საქმეა ოჯახში გასაკეთებ-მოსაგვარებელი?

სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთი ეს მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, რომელს ქარხანაში ამზადებენ ბოსტანს? სად, რომელს საფეიქროში ჰქსოვენ ოხრახუშსა და ნიახურს, პრასა და ბოლოკს, წიწმატსა და წიწაკას? სად, რომელ „ზავოდში“ უნდა გავგზავნოთ ეზო და კარ-მიდამო დასაგველ-დასასუფთავებლად და ბაღები დასაპან-დასავარცხნად?

თქვენ შეიძლება ხუმრობა გეგონოთ და მე-კი ნამდვილ ფაქტს მოგახსენებთ. დღეს მთელი სოფელი რომ სიგრძე-სიგანეზე შემოიაროთ, ერთს რიგიანს ბაღჩას ვერსად ვერ შეხვდებით. მეზობლებს ერთმანეთი თავ-მობეზრებული ჰყავთ: ერთი ოხრახუშს თხოულობს, მეორე პრასას, მესამე ნიახურს, მეოთხე და მეხუთე ქინძსა და წიწაკას. ავიწყდებათ-კი დალოცვილებს, რომ ეს დოვლათი, ღვთის წყრომითაა თუ ღვთის წყალობით, კაი ხანია აღარც ერთისას არ მოიპოვება.

ახლა ერთი ჩემი გამტყუნებიზა, სოფლის სკოლაშიაც შეიხედეთ. გაოცდებით, ამდენი ობოლი და უპატრონო ბავშვი ერთად თავ-მოყრილი რატომ ამდენ ხანს არ მინახავს სადმეო! ყველა დაუბანელი, ყველა დაურეცხელი, ყველა დაუვარცხნელი! სკოლაში რომ შედარებით მოზრდილი ბავშვები ასეთს არა სასურველს სურათს წარმოადგენენ, რაღა სანატრელს დღეში იქნებიან სახლში უფრო პატარა ბალღები, ეს თითონ თქვენ იგულისხმეთ და წარმოიდგინეთ.

ხოლო უკეთუ დღევანდელი დედა ღვიძლს შვილს, საკუთარის სისხლით გასულიერებულს და ხშირად საკუთარის რძით გაზრდილს, სიფაქიზ-სისუფთავის მხრით ასე უდიერად ეპყრობა, ეზოსა და კარმიდამოს დაგვა-დაწმენდაზე რომ დიდად თავს არ შეიწუხებს—ესეც თქვენ თითონ უნდა მიხვდეთ და დაიჯეროთ.

განა ასეთნი იყვნენ წინანდელი დედები? ოღონდაც რომ არა და ამიტომაც იყო, რომ მაშინ ქალიშვილის გათხოვა არც არავითარს სიძნელეს წარმოადგენდა.

მაშინ ცოლს ირთავდნენ იმ აზრით, რომ ავშენდებით, გავკეთდებით და მოვღონიერდებითო. ახლა-კი აშენებული და გაკეთებული ოჯახის პატრონიც დიდს ფიქრსა და საგონებელშია ჩავარდნილი ამ საკითხის შესახებ და ვერ გადაუწყვეტია—შეირთოს ცოლი თუ არა. პირველ შემთხვევაში იმისი ეშინია, ვაი თუ ჩემი გაკეთებული ოჯახი საფანელადაც არ ეყოს ცოლიანობას და შეძლებული კაცის სახელი გამიტყდესო, ხოლო მეორე შემთხვევაში უშვილოდ გადასვლისა გეფიქრება და... აქ თუ წერტილი არ დავსვი, მე რომ ჩემი ენის ამბავი ვიცი, შეიძლება ქალთათვის არა სასიამოვნო რამ წამოვროშო. ისევ სჯობია, დავდუმდე და ამ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ იმათი (ქალების) აზრიც მოვისმინო.

კნინი.

ბას აცხადებს იგი აგრეთვე იმ მუხლის გაუგებრობის გამო, რომელიც მანჯურიიდგან რუსეთის ჯარის გაყვანას შეეხება.

ნარკვევი

ჟურნალ „Вѣстн. Обществен. Гигіены“-ს უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი მკურნალის ე. ს. ხუნდაძესი შემდეგის სათაურით: „კეთროვანება შარურო-დარალაკეზის მაზრაში“. ავტორს შეუკრებია მრავალი ცნობა და ამ ცნობებზე დამყარებული, ბოლოს ამტკიცებს, რომ კეთროვანებას ერევნის გუბერნიაში ენდემიური ხასიათი აქვს, რომ ეს სენი ძველად იყო, თუმცა არც იმას ჰყოფს უარს, რომ ეს ავადმყოფობა ბოლოს დროსაც იყოს გადმოტანილი სპარსეთიდგანა და ოსმალეთიდგან.

„ახლად გადმოტანა ამ სენისაო, სწერს ბ-ნი ხუნდაძე, შემდეგის გარემოებით აიხსნება. თუ ცოტაოდენი შეძლება აქვს მაჰმადიანს, თავისს მოვალეობად მიაჩნია, ადრე თუ მალე გაბედნიერდეს წმიდა ადგილებში ყოფნით. და აი, ყოველწელს მლოცველები ასობით გადადიან საზღვარსა, ზოგი ნებართვით (ვითომ სავაჭროდ) მიდის, ზოგი ჩუმად გადადის საზღვარს. მერე იქიდგან დაბრუნებულ „ქერბალაიებისა, მაშადების და ჰაჯის“ შორის აღმოჩნდება ხოლმე კეთროვანებით ავადმყოფი. თვით მლოცველნი ამბობენ ხოლმე, რომ სპარსეთში მეშეთის გზაზედ არის რამდენიმე სოფელი, სადაც გახიზნულნი სცხოვრობენ კეთროვანნი. ამ ავადმყოფთ არავინ ეკარება შიშით, მაგრამ როცა მგზავრს გზაში შემოაღამდება, ან წყურვილი დასტანჯავს, მეტი გზა არ არის, მივა ამათთან ღამის გასათევად ან წყლის დასალევადაო“.

თვით წმ. ადგილებშიაც შეჰხვდება ხოლმე კაცი კეთროვანს. ბ-ნ ხუნდაძის სიტყვით, მრავალი ავადმყოფი მიდის ხოლმე წმ. ადგილებში იმ იმედით, რომ იქ განიკურნება ამ სენისაგან.

⁂

იმ დროდგან, რაც ოქროს ვერძის ლეგენდა გაჩნდა, კავკასიის გაუვარდა სახელი ოქროს ქვეყნისა. ასევე უყურებდნენ კავკასიას ჰეროდოტი, დიოდოსი, სტრაბონი, პლინიუსი და სხვანი.

„Кавказскій Вѣстникъ“-ის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია აზრი ინჟენერის სიმონოვიჩისა, რომელიც ამტკიცებს, რომ

„კავკასიის ყველა მდინარეებში ოქრო უნდა იყოს, რასაც ამტკიცებენ აგრეთვე მეცნიერნი აბიხი და ფავრი. ამ მეცნიერთა აზრით ფესვი ოქროს მადნებისა უნდა იყოს მთავარ ქედების ორთავ მხარეს, სადაც სათავე აქვთ ამ მდინარეებს.

1830 წელს ინჟენერი გორეცკი ამტკიცებდა, რომ მდინარე კაშკარის გამოკვლევის დროს ოქროს უტყუარ ნიშნებს წააწყდა.

1839 წელს ინჟენერმა კომაროვმა ყაზახში იპოვნა ოქრო.

1850 წელს მთელი ამხანაგობა შესდგა ოქროს მძებნელთა და თუმცა რამდენსამე ადგილას ჰნახეს კიდეც ოქროს ნიშნები, მაგრამ მუშაობა-კი არ დაუწყვიათ.

1850—1863 წლებში ბ-ნთ ტომილოვისა და გილევის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მდინარე ინგურისა ᲓᲐ რიონის სათავეების ზოგიერთ ადგილას ოქრო არის.

ამასვე ამტკიცებს გამოკვლევა საფრანგეთის ქვეშევრდომის კასტენისა. კასტენი დიდ ხანს იყო კალიფორნიაში. ბედმა კავკასიაში მოიყვანა და აქ, სვანეთში, მდინარე ინგურის ხეობაში, იმ ადგილს ზევით, სადაც ინგურს ცხენისწყალი ერთვის, სოფელ ფარამდე, ზოგიერთ ადგილებში ოქრო იპოვნა. კასტენმა აქედგან ოქროს რამდენიმე ზოდი ჩამოიტანა, რომელიც ინახება კავკასიის სამთო მმართველობის მუზეიში“.

მაგრამ კასტენს საკმაო ფული არა ჰქონდა და მუშაობას თავი დაანება.

1864 წელს გენერალ-მაიორმა კლეიმენოვმა იპოვნა ოქროს ნიშნები კავკასიის ზოგიერთ ადგილებში, მაგრამ „ზოგიერთა გარემოებათა გამო“ იძულებულ იყო დაენებებინა თავი მუშაობისათვის და წასულიყო კავკასიიდგან.

ეხლა ბ-ნი სიმონოვიჩი სწერს, თვით მე დავრწმუნდი, რომ მრავალ ადგილას ზარად ოქრო არის და ჩამოტანილი უნდა იყოს მდინარეებით. მაშასადამე, საჭიროა ჩვენი მთები გეოლოგიურად იქმნენ გამოკვლეული და მხოლოდ მაშინ შეიძლება მივაგნოთ ოქროს მადნებს, საიდგანაც მდინარეებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვთ ბარში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 ნოემბერი.

პეტერბურგი. ჩიტიდგან დეპეშა შეცდომით იყო გადმოცემული: მანჯურიის გზა ჯერ არ არის მგზავრთათვის გახსნილი.

27 ნოემბერს დაიწყო მუშაობა რუსეთის რკინის გზის მოძრაობის უფროსთა კრებამ 1902 წლის საზაფხულოდ მატარებლების მიმოსვლის სიის შესამუშავებლად.—25 ნოემბერს ღარიბ მკურნალ-სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზედ სამხედრო მინისტრმა გამოუცხადა სტუდენტებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, სცნო რა სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტთა გაჭირვებული მდგომარეობა, ბრძანა გადადებულ იქმნას 50,000 მანეთი ფონდად, რომლის სარგებელიც მოხმარდება ღარიბ სტუდენტებს. ხელმწიფის წყალობას ახალგაზრდობა „ურა“-თი მიეგება.

ყიზლიარი. ყურძნის მოსავალი ჩვეულებრივზედ უკეთესია და თვით ყურძენიც კარგის თვისებისაა. ღვინო ვედრა 90 კაპ. ფასობს.

ვარშავა. ვარშავის ტეხნიკოსთა საზოგადოება შეუდგა საფრანგეთსა, ბელგიასა, ინგლისსა და შვეციასთან სავაჭრო დამოკიდებულებათა პროექტის შემუშავებას, რათა შესაძლებელი იყოს იოლად წასვლა გერმანიის უფაბრიკანტებოდ, თუ ვინიცობაა გერმანიასა და რუსეთს შორის საბაჟო შეტაკება მოხდა.

ლონდონი. გაზეთ „Daily Mail“-ს ლორენცე-მარკეზედგან ატყობინებენ: მოელიან, რომ 1902 წლისთვის დელაგუასაკენ მიმავალი რკინის გზა ყველასათვის გახსნილი იქმნებაო.

ბომბეი. სამხედრო გემი „პლასსი“ კოვეიტში მიდის; კრეისერი „ფოქსი“ მიდის 28 ნოემბერს. უსაფუძვლოა ის შიში, რომ კოვეიტში ახალი არეულობანი მოხდებაო.

ქრისტიანია. სტორტინგის დღევანდელ სადღესასწაულო სხდომაზედ, რომელიც დილას მოხდა, ნობელის კომიტეტმა განაცხადა, რომ სამშვიდობო პრემია ნობელისა 1901 წლისთვის მიეცა მკურნალს ჰენრიხ დონანტს და პარიჟელს პროფესორს ფრედერიკ ნასსისაო. თვითეულს მიეცა ნახევარი პრემია—104,000 ფრანკი.

პარიჟი. კამპიენის ქალაქის საბჭომ დაადგინა დასდგას ფიცარი რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცის კამპიენში ყოფნის სახსოვრად.—დერულედმა განაცხადა, რომ დღეიდგან გაზეთი „Drapeau“ მოისპობაო. დერულედი რედაქტორი იყო ამ გაზეთისა. თავის წერილში პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამიერიდგან ყოველ ღონეს ვიღონებ საპლებისციტო იდეის გასავრცელებლადო. ამისათვის სხვა გაზეთი იქმნება გამოცემული ამ სათაურით „Moniteur hebdomadaire de la ligue des patriotes.“

ნიუ-იორკი. მანაგუადგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ ნიკარაგუას გარეშე საქმეთა მინისტრმა და შეერთებულ შტატების ელჩმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც ნიკარაგუა სამუდამოდ აძლევს შეერთებულ შტატებს ნიკარაგუას არხისათვის მიწის ნაჭერს, სიგანით 6 მილს.

პარიჟი. პატრიოტთა ლიგის გაზეთი „Drapeau“ მოისპო იმის გამო, რომ საკმაო ხელის მომწერნი არა ჰყვანდა.

ლონდონი. როგორც გაზეთებს პრეტორიიდგან ატყობინებენ, გეილბრონთან დევეტს ორი ათასი კაცი შეუკრებია. პოლკოვნიკ ვილსონს, რომელიც ორის დღის განმავლობაში ჰხვდებოდა დევეტს, მტერი თითქმის შემოერტყა.

პოლკოვნიკმა რიმინგტონმა ერთ ღამეს 30 მილი გაიარა და გაანთავისუფლა ვილსონი. ინგლისის ორივე რაზმი გეილბრონში დაბრუნდა მცირე ზარალის შემდეგ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 30 ნოემბერს, დღის 12 საათზე გამგეობაში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** პავლოვსკის ქუჩის მოკირწვლის იჯარის გასაცემად, სულ 597,31 ოთხ-კუთხის საჟენისა, 2603 მან. 11 კაპეიკის.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 დეკემბერს, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა.** ვაჭრობით მიიცემა გაკეთება ბეტონის მილისა, სიგრძით 68,00 საჟენი, სიმაღლით 18 ვერშოკი, სიგანით 12 ვერშოკი, ტატიანის ქუჩაზე, თუმანოვის სახლამდე, 1500 მანეთისა.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6—2)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ორშაბათს, 11 დეკემბერს ამ 1901 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, ქალაქს ფოთში **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა სამეგრელოს საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლისათვის ქვითკირის ორსართულიან შენობის აგების საქმე. შენობაში ოცდა თხუთმეტი განყოფილება უნდა იყვეს; იჯარა სულ 75,000 მანეთისაა. იჯარადარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უზრუნველ საყოფლად საჭიროა ბე—ათი პროცენტი საიჯარო თანხისა. ეს ბე შეიძლება წარდგენილ იქმნას ნაღდ ფულად, რუსეთის სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ აქციებითა და ობლიგაციებით და აგრეთვე სხვა ქაღალდებით, რომელშია ბედ მიღებაც ნება-დართულია სახელმწიფო იჯარების გაცემის დროს. კონდიციებისა, ქალაქის გეგმებისა და სხვა ცნობების განხილვა შეიძლება ფოთის ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 12 საათამდე.

(3—6.—3)

განცხადებანი

ამერიკულ ვაზის სანერგეს

კლო-ქგურულში

იყიდება ერთის წლის ფესვ-გაკეთებული ვაზები სხვა-და-სხვა ჯიშისა: ადგილობრივი, ყირიმული, ბორდოული, ბურგუნდიული, შამპანიური, რეინური და სხვა.

გვაქვს 403 ნაირი ვაზი, **საღვინე, სახარჯო** (სასუფრე) და **საღებავად** გამოსადეგი ჯიშისა, აგრეთვე სანაყოფოდ გამოსადეგი და ამერიკული გიბრიდები და ზედ დასამყნელად გამოსადეგი გიბრიდები, მრავალგვარი ფესვები. გაკეთებული ამერიკული ვაზები და გიბრიდები სანამყნოდ, თესლები სანაყოფო და სხვა გიბრიდებისა და სხვ.

მსურველებს შეუძლიათ ჩემგან დაიბარონ.

პრეისკურანტი (ფასების ნუსხა) უფასოდ მსურველთ გაეგზავნებათ.

ადრესი წერილთა და ტელეგრამისათვის: Кутаисъ, В. Тьебо.

დასამყნელი მაშინა „დორენი“ ამ ჟამად იყიდება ქუთაისში ს. პ ფეიქარიძის მაღაზიაში.

(2—230—2)

Годъ XVIII.

Открыта подписка на 1902 годъ

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Съ доставкой и пересылкой: р. к.	Безъ доставки и пересылки: р. к.
На годъ	5 50	4 50
„ полгода	3 —	2 50
„ 3 мѣсяца	1 75	1 50
„ 1 мѣсяцъ	— 60	— 50

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакція **„Сѣвернаго Кавказа“. Телеф.** № 36.

Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кав.“; въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и Кº.

Издатель В. В. Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣевъ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**